საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო

Legal Entity of Public Law
SOCIAL SERVICE
AGENCY

ს/კ 202178927

SSA 8 22 00469921

28/10/2022

მოქ. მილანა ხუბუას

პ/ნ - 62005029211

მის.: ქ. თბილისი, გლდანის 1 მ/რ, კორპ. 22 ა

ელექტრონული ფოსტის მისამართი:

Foi+request-1117-6bc4ce23@askgov.ge

ქალბატონო მილანა,

სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განხილულ იქნა სააგენტოს ელექტრონული ფოსტის მისამართზე, მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს შემოსული თქვენი განცხადება (სააგენტოში რეგისტ. დოკ. N429208, 18.10.2022 წ.), ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით გარკვეული სახის საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე.

დასმულ საკითხთან დაკავშირებით, სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ სააგენტოს მონაცემთა ბაზებში დაცული ინფორმაცია, როგორც წესი, არ იძლევა სახელმწიფო ბენეფიტების/სერვისების მიმღებ, ასევე, სახელმწიფო პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციართაგან დიფერენცირებულად ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა გამოყოფისა და შემდგომში, მისი სტატისტიკურად დამუშავების საშუალებას, ვინაიდან ბენეფიციართა აღრიცხვა მათი ეთნიკური კუთვნილების მიხედვით, ისევე, როგორც ბენეფიციართა ეთნიკური წარმომავლობის შესახებ რაიმე სახის ინფორმაციის ფლობა და/ან მისი მოპოვება სცილდება სააგენტოს დებულებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების სფეროს. კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციიდან გამომდინარე, სააგენტო ადმინისტრირებას უწევს და ამუშავებს ბენეფიციართა იმ მონაცემებს, რაც სავალდებულოა სახელმწიფო პროგრამის და/ან გასაცემლის ადმინისტრირებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტო მოკლებულია ეთნიკური უმცირესობების შესახებ რაიმე სახის სტატისტიკური ინფორმაციის (მათ შორის: სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ეთნიკური უმცირესობების ეროვნული ჭრილის შესახებ) დამუშავებისა და მოწოდების ფიზიკურ შესაძლებლობას.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
თამილა ბარკალაია